სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/159

ქ. თბილისი

25 სექტემბერი 2025წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ელექტრონული სასწავლო ტექნოლოგიების ცენტრის“ სახელწოდებისა და დებულების ცვლილების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-02/22 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ „ელექტრონული სასწავლო ტექნოლოგიების ცენტრს“ შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს „ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების ცენტრი ბუნებისმეტყველებაში“.
2. მოწონებული ცენტრის დებულებაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი (დანართი).
3. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**